

სახალხო გაზეტი

სურათებიანი ჟამათება

გაზეტის № 729

ლამატივის № 128

კვირა, 21 ოქტომბერი 1912 წ.

სიჩუების გოდოლი

ისტორიული მოთხრობა

გ. პეხვულისა.

(შემდეგი *).

— ცრუ მოწმეები! იაკინლუსაგან, შხამიან გველისაგან მოსყიდული ცრუ-მოწმეები! გაისმა ხილხში ყვირილი.

ფალეს გაფითრდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა.

— სთქვი, რით დაამტკიცებ შენი საქრმოს სიმართლეს?

— ძველი კანონი ტირისა გვიბძანებს, რომ თუ საკმაო საბუთი არ შექნება ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად—შეგიძლიანთ გამომცადოთ ცეცხლით.

შევალ ცეცხლში, მაგრამ ჩემთან ერთად უნდა წამოვიდეს წყეული ჯაშუში იაკინლუ! დეე წმინდა ცეცხლის სტიქიონმა გადასწყვიტოს ვინ არის მამბეზლარი და ფიცის გამტეხი.—უპასუხა თამამად ქალმა.

— გამოსცადეთ! გამოსცადეთ! იაკინლუ და ქალი! ორივე ერთად!—ყვიროდა ხალხი.

— არა მე ცეცხლით არ გამოგცდი.—უთხრა ფალესმა.—სხვა საცდელს დაგინიშნავ—უფრო ადვილს.

— დამინიშნე!

— ხვალ გათენებისას შენ ჩაგიშვებენ სიჩუმის გოდოლში. იქ უნდა იპოვო ხიმარის ბეჭედი, რომელიც დაიკარგა აზერიმის სიკვდილის შემდეგ. თუ იმ ბეჭედს მოიძიებ საღამომდის—ორთავენი თავისუფალი იქნებით.

ხალხი აღელდა, თითქოს უნდოდათ მისცვივნოდნენ ფალეს და დაეტყვევებინათ ის.

— მე მოვკლავ ამ ქალს.—დაიძახა იაკინლუმ.

— არ გაბედო!—მიაძახა ფალესმა.—ეს გამოიწვევს აჯანყებას. ხვალ მოვახერხოთ, რომ დაილუპოს სიჩუმის გოდოლში... ამ საქმეს შენ მოგანდობ და შენ ხომ მოახერხებელი ხარ ამისთანებში!

— ეგრე იყოს!—უპასუხა იაკინლუმ.

IV

იმ ღამეს ტირს ბევრს არავის დაუძინია. შეშინებულ ქალაქს თითქოს მთელი გროვა აჩრდილებისა დასტრიალებდა თავს.

სახლები ყველა განათებული იყო. გარედ მთვარეს გაჰქონდა კაშკაში.


შუა ღამისას საღაც ცეცხლი გაჩნდა. იწოდა მხედართ მთავრის სასახლე. ხალხში ისმოდა ჩურჩული ვითომ ცეცხლი გაეჩინათ მხედრებს ჯიბრზე. არეულობის დროს ბევრმა მონებმა იხსნეს თავი ტყვეობისაგან და საღაც მიიძალნენ. ხალხი ეშურებოდა ტაძრისაკენ, რომ აღრევე დაეკირათ მოახერხებელი ალაგი რკინის ხართან. მზის ჩასვლისას უნდა მომხდარიყო სასჯელი მირბალისა.

შუა ღამისას მოიყვანეს მირბალ, დარაჯებით გარშემოხვეული, შეჯაჯული. ღ გააჩერეს შურის მაძიებელ

ბალკანეთის ომი



ოსმალეთის ჩახაფრებული რაზმის ნაწილი დეჩანიკთან ბრძოლის დროს.



ბრძოლა პოდგორიცასთან. ჩერნეგორიის ტანტის შემკვიდრე პეტრეს სარდლობით ჩერნოგორიის სამთო არტილერია ოსმალეთის ბანაკს ესერის დეჩენის მთაზე.



ჩერნოგორიის ჯარი გენერალ მარტინოვიჩის სარდლობით გადის მდ. ბოიანს და ცხარე ბრძოლის შემდეგ იდებს ოსმალეთის მთის სიმაგრეებს.

— სიჩუმის გოდოლიდან არ არის გამოსასვლელი გზა.—უთხრა ქალმა.

— შენ ჩაგიშვებენ თოკით და თოკითვე ამოხვალ იქიდან. ამაზე გაძლევ პატიოსან სიტყვას!—

ღმერთის ვაალ-მოლოხის ახლოს. ტაძრის მსახურნი, ყვითელ ტანისამოსში გამოწყობილნი გვირგვინებით ღ ყვავილებით რთავდნენ ხრას. დანარჩენებს მოჰქონდათ შეშა, სიმღერით ღ ჩოქით აწყობდნენ და ზედ აყრიდნენ ყვავილებს. ტაძრის მგალობლები უმღერიან შესხმას ვაალს.

*) იხ. სურათებიანი ჟამათება № 127.

„დადგა დიდებული დღე
 დღესასწაული ძლიერ ღმერთების.
 შეუბრალებელ მოლოხისა,
 შურის მაძიებელ ასტარტისა!
 ისევ დადგა დღე ძლიერი
 კოცონს ანთებენ ტაძარში
 რკინა გაწითლდა და ემზადება
 ცოცხალი გვამის სრულად ჩაყლაპვას,
 დაჰკარით დოღსა უფრო ძლიერად!
 ამღერეთ სტვირი და კიფარები.
 ელის მოლოხი ძლიერსა მსხვერპლსა!
 ხარი რკინისა, ხარი ძლიერი.
 დასხით თაფლი ცეცხლსა წმიდასა,
 მსხვერპლსა თხოულობს მძვინვარე ღმერთი
 ხარი რკინისა ეს უღმობელი!“

მირბალი იდგა ხარის სიახლოვეს და დაღვრემილი ადევნებდა თვალს მზადებას. მას არ სძინებია მთელი ღამე. მწარე ფიქრები არ ასვენებდნენ მას.

— „მაშ, აი, რას მიმზადებდა მე ჩემი ბედი!..“

— ფიქრობდა ის.— ოცნება. სახელისათვის, ქმნილებისათვის, ბედნიერებისათვის... ცხოვრება წყნარი მშვიდობიანი... გაჰქრა ყოველი!

ბევრჯერ უთხოვნიათ მირბალისათვის ფალესის მტრებს, რომ მას აეღო დროშა აჯანყებისა და შურისძიებისა.

— „ნუ ჰფიქრობ ნურაფერზე, ნუ შესწუხდები. მოგვეცი ნება მხოლოდ ჩვენ ვიმოქმედოთ შენი სახელით... შენთვის საიმედო ალაგი გვაქვს მომზადებული, იცხოვრებ უზრუნველად და როდესაც მოვა დრო ჩვენ მოგიწოდებთ შენ... მაშინ დაიკიდებ ნაკურთხ იარაღს შენი დიდებული წინაპრის ხიმარისას, რომელიც შენახულია მელკარტის ტაძარში და თამამად ახვალ ტირის ტახტზე.“

მაგრამ მირბალ უარს ჰყოფდა ამ დიდებას და აი...

„სად არის ილისს? რა მოუვიდა მას? საბრალო ილისს! ჩემო მტრედო! შენ ჩაუვარდები ხელში იმ ქორს, შურის-მაძიებელ იაკინლუს... რამოდენიმე თვეს გიყოლიებს თავისთან და შემდეგ გაგყიდის მონად—სადმე უცხო მხარეს, სადაც დაასრულებ შენს სიცოცხლეს, ჩემო ყვავილო!“

ამ ფიქრებში იყო გართული მირბალ, როდესაც ერთმა მსახურმა მიაწოდა მას ჭიქა სასმელით.

— დალიე, ჰაბუკო! ეს ღვინო დაგავიწყებს დარდს და გაგიფანტავს შიშს სიკვდილის წინ.

— მე არ მესაქიროება თავ-დავიწყება! მე ვარ მემკვიდრე მამაცი ხიმარისა და თამამად შევხვდები სიკვდილს!

ქურუმი მოშორდა მას მხრების აწევით. ხორო, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი განაგრძობდა სიმღერას.

„დღე აინთოს ნაძვი ღობანისა!
 ელის მსხვერპლს ღმერთი ძლიერი,
 ღმერთი მოლოხი, მპყრობელი ქვეყნის,
 ღმერთი მოლოხი, მცველი ტირისა!“

თან და თან ხურდებოდა ხარი. მირბალი მისჩერებოდა ამ ვეშაპს, რომელსაც მალე ფერფლად უნდა ექცია ამის სხეული.

— ჩამოდექით! გზა! გზა!— გაისმა ხმა კარებში— გამოჩნდნენ ფალესის მცველები, რომელთაც უნდა მოემზადებინათ ადგილი ფალესის და იეზაველისათვის. ბოლოს გამოჩნდა თვით ტირის მპყრობელიც. ის მოჰყავდა ორ ჰაბუკ მხედარს, რადგან თითონ ფეხზე ძლივს იდგა იმ ღამის ნაქვიფარი. თვალეები ძლივს-ღა უჩანდა გასიებულ უბებებიდან. სახე დალურჯებული და წამოხიებული, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა. სულს ითქვამდა მძიმედ და ყოველ წუთს თავზე იკიდებდა ხელებს, თითქოს ამით უნდოდა დაეყუჩებინა საშინელი ტკივილი. ის მიიყვანეს და დასვეს გამზადებულ ადგილას.

იეზაველ კი არასოდეს არ ყოფილა ასე მშვენიერი. მას ემოსა მძიმე ოქროთი ნაკერი ფარჩის კაბა— ძვირფასი მარგალიტის ყელსაბამი, ყურებში ბაჯალლო ოქროს საყურები, მარგალიტით და ლალით შემკული. თავზე მდიდრული ჯილა. სახე შეთეთრებული, ტუჩები სისხლის ფრად შეღებილი— ის იყო მშვენიერი შესახედავი.

— მამა!— ეჩურჩულებოდა ის, ნახევრად მძინარე ფალესს.

— უბძანე, ბარემ გაათაონ! რკინის ხარი მზად არის. დაე, ცეცხლმა ჩაყლაპოს ეს ჭია!

— ჯერ დრო არ არის! მე მივეცი სიტყვა ილისს და უნდა მოუცადოთ მზის ჩასვლამდის! რა გვაქარებს?

— შეიძლება ის ამოვიდეს სიჩუმის გოდოლიდან?

— როგორ? განა ოდესმე ყოფილა ასეთი შემთხვევა, რომ იქიდან ვინმე დაბრუნებულიყოს?

— შენ მეტად ენდობი იაკინლუს!

— მე გადავწყვიტე იმის სიკვდილი, მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა ხანს საჭიროა ჩემთვის. დარწმუნებული ვარ იაკინლუს კლანკებიდან ვერ განთავისუფლდება ის მტრედი.

— ვნახოთ! მე მაწუხებს რაღაც წინასწარი გრძნობა!

— მე კი წყურვილი მაწუხებს! უბძანე ღვინო მოიტანო და შენც დალიე! შენი წინად გრძნობა გაჰქრება კომლივით! იეზაველმა ზიზლით იბრუნა პირი მამისაგან. ეხლა ცოტა უკან უნდა დავბრუნდეთ.

შუადღისას, როდესაც ფალესს და იეზაველს მივიდნენ ტაძარში— ტაძრის საპყრობილედან გამოვიდა გუნდი მხედრობისა, რომელსაც ეფროსად ჰყავდა „მეფის ვეფხი“, ყველას შიშის ხარის დამცემი იაკინლუ. გუნდი გაემართა სიჩუმის გოდოლისაკენ. იაკინლუს მიჰყავდა სასიკვდილოდ გამზადებული ილისს.

როდესაც იმათ გვერდით ჩაუარეს ერთს მიწის-ძვრისაგან დანგრეულ ტაძარს, ეგვიპტის ღმერთის იზიდის სახელობაზე აგებულს, იაკინლუ მეხ-დაცემულივით შეჩერდა. მას მოეჩვენა განდევნილი კარმელის შიშით. მის გრძელ თეთრ თმებს ქარი ათამაშებდა. ხელში ეჭირა დიდი კვერთხი და არწივისებურ თვალეებით გადმოიყურებოდა მაღლიდან.

— სად მიდიხარო, ფალესის მხედარნო!

— გაისმა ხმა მაღლიდან.

— რა შენი საქმეა, მაწანწალა!—

— მიფრთხილდი, იაკინლუ! ბილწო! მშიშარა ძაღლო! მე ვნახე სიზმარი ამ ღამეს, საშინელი სიზმარი! სიჩუმის გოდოლმა ჩემ თვალწინ ჩაჰყლაპა თორმეტი მხედარი თავის წინამძღოლით და ეს თქვენ იყავით, იაკინლუ, — მოჰკალით! მოჰკალით! — დაიყვრა იაკინლუმ და მიიწია ნანგრევისაკენ, მაგრამ სანამ ის მივიდოდა, ქურუმი გაჰქრა სადღაც და შორიდან მოისმოდა იმის ძახილი.

— მოახლოვდა თქვენი აღსასრულის დღე! სისხლის მსმელებო! წყეული იყავით თქვენ! გადმოხვეწილებო!

როდესაც დარწმუნდნენ რომ აქ ძებნით არა გამოვარა, იაკინლუ და იმის ჯარი გაემართა გზას. ნახევარი საათის შემდეგ მივიდნენ სიჩუმის გოდოლთან.

— შეჩერდით! — უბძანა მან. — თქვენ აქ მოიცადეთ და თვალყური ადევნეთ — ახლოს არავინ მოვიდეს! ჩვენ კი წავიდეთ, ქალო!

ისინი შეუდგნენ აღმართს. ილისსმა გადმოიხედა მაღლიდან და თავბრუ დაესხა. იაკინლუმ შეამჩნია ეს მღელვარება და ბოროტად დასცინა.

— გეშინიან? — ჰკითხა მან. — დიალ, ჩემო ლამაზო, მართლაც საშიშარია!.. ეხლა წარმოიდგინე, რაღა უნდა იყოს შიგნით?

— არაფერია! — ძლივს წარქოსთქვა ქალმა.

— დიალაც არაფერია!.. განა მე რასმეს ვამბობ? ნუ გეშინიან! აი თოკი, რომლითაც უნდა ჩახვიდე შიგ და მოსძებნო ბეჭედი. იქ, გოდოლის ძირში, რამდენ საინტერესოს შეხვდები. იქ, ნესტიან კედლებზე, დალოდავენ დიდრონი ობობები და მრავალი ათასფერები. იქ ქვის ქვეშ იმალებიან შხამიანი მორაელები და საზიზლარი ლეშის ქამია მწვანე ბუხები. იქ, ქვევით სამარისებური სიჩუმეა, და სიბნელე. ჩადი აზერი-მის საფლავში, ამაყო მატრანის ქალო! იქ კარგ საზოგადოებაში იქნები. იმათ გაეხარდებათ შენი ნახვა.

— დაჩუმდი!

— რად უნდა დავჩუმდე? შენ არ გინდოდა გაგეგონა სხვა გვარი ლაპარაკი ჩემგან, მაშ ეს გაიგონე, ამაყო! სასიკვდილოდ გამზადებულო ტირის ყვავილო!


ცოტა სიჩუმის შემდეგ მან განაგრძო.

— გამიგონე, ნუ ხარ ჯიუტი! შენ ვერ იპოვი ხიმარის ბეჭედს. შენ დაბრუნდები იქიდან ხელ-ცარიელი. იეზაველი-

გალკანეთის ომი



ჩერნოგორელი ტუზას ასაღებად მის-
წრაფიან.



ოსმალებს მცირე აზიის არტილერია
ვეროპის ნაპირებზე გადმოაქვთ.



ჩერნოგორელთა მარტორის ზარბაზნების არტილერია
პოდგორიციდან ტუზას მიემართება



ჩერნოგორელებს ტყვე ოსმალები
მოჰყავთ.

როგორ? ვინ მეტყვის? ვინ მას-
წავლის, სად არის? აზერიმ შე-
იპყრეს მძინარი და თოკით ჩა-
მოუშვეს ამ გოდოლში. ტანის-
სამოსი არ გაუხდიათ იმისთვის,
მაგრამ ძვირფასი ნივთებიც ყვე-
ლა შოაცილეს, მხოლოდ ბეჭე-
დი შეაჩინეს—ყველა ამბობ-
და,—შეპყრობის დროს, ბეჭედი
ხელზე ჰქონდაო. იმასაც ამ-
ბობდნენ ბეჭედი ჩაყლაპაო!

ილისსმა გადადგა ერთი ნა-
ბიჯი. ფეხი მოხვდა რალასაც
და დაიმტვრა. ეს იყო აღამიანის
ჩონჩხი. თავის ქალა დაცინ-
ვით მისჩერებოდა მას. ილისს
შეკრთა და თვალი მოაშორა ამ
საშინელ სანახაობას. თითონ
არ იცოდა, რამდენი ხანი იდგა
ერთ ალაგს გაშტერებული. მას
ეშინოდა ფეხის გადადგმისა,
ეშინოდა საშინელ ქვემძრომე-
ბისა, რომელზედაც უამბობ-
და შეუბრალებელი იაკინლუ.
ილისის ფეხ-ქვეშ ეყარა უარე-
ბელი გროვა ჩონჩხებისა, მაგ-
რამ ამას აღარ ეშინოდა. მის ახ-
ლოს გაისრიალა ორმა გველმა
და მიიმალნენ ქვეშ. ერთ
ადგილს დაინახა რალაც აკი-
ანთებდა. ილისს დაიხარა და
აიღო ეს ნივთი—ეს იყო ლამა-
ზი ყელ-საბამი. კიდევ წაჰკრა
ფეხი რალაც მწვარს, იქიდან გა-
მოგორდა სამაჯური. ილისსმა

საგან მოგონილი შურისძებაა.
—ხელ-ცარიელი მიხვალ, თუ
კი ცოცხალი ამოხვედი. მებრა-
ლები! მომენდე და მე გიხ-
სნი.

— რა ფასით უნდა ვიყიდო
მე ვგ ხსნა, „მეფის ვეფხო“?

— დღეს ან ხვალ ტირში
დაიწყება არეულობა, სადაც
დაიღუპებიან ფალეს და იმის
ქალი იეზაველ. ჩემი წინად—
გრძობა არ მატყუებს. ამიტო-
მაც მე მოვავროვე ჩემი ქონება
და მოვეშხადე წასასვლელად.
ზღვის პირად მიბმულია ჩემი
ნავი, მწვანედ შეღებილი, რო-
მელსაც ჰქვია, „ლოტოსი“. შიგ
მელოდებიან გამოცდილნი
მხედარნი, რომლებმაც იციან
სიჩუმე საჭიროების დროს. მი-
თხარი მხოლოდ ერთი სიტყვა —
აქედან პირდაპირ წავალთ ჩრდი-
ლოეთისაკენ—სამოთხის მსგავს
კუნძულზე გავიჩინოთ ბინა და
დავიწყოთ ახალი ცხოვრება!
მიპასუხე ილისს, რას დადუმე-
ბელხარ?

— წყეული იყავ! ჯოჯოხე-
თის ნაშობო! — მიძახა ქალ-
მა და თამამად წაავლო ხელი
თოკს.

— მაშ, დაიღუპე! უბასუბა
იაკინლუმ.

V

ილისს ისე აღელვებული იყო, რომ აღარ ახსოვდა თა-
ვი, როდესაც ქვევით ჩადიოდა და გასაკვირველია როგორ არ
ჩაფარდა ქვევით, მაგრამ თავის შენახვის ალლო მუშაობდა მის
გულში და მაგრად ეჭირა თოკი. ხან და ხან თოკის ნასკეს
დააბჯენდა ფეხებს, შეისვენებდა და ისევ განაგრძობდა გზას.
ის მისჩერებოდა გარშემო გოდოლის კედლებს და საშინელი
მოჩვენებები ეხატებოდა თვალწინ. რაც უფრო ძირს უახლოვ-
დებოდა, მით უმეტესად ბნელდებოდა გარშემო და ჰაერი
იხუთებოდა.

ბოლოს ფეხი დაადგა დედა-მიწას, ის უკვე იდგა ძირს.
ამ საშინელ სიჩუმის გოდოლში... მან აიხედა მალა და ძლივს
დაინახა პატარა ნაჭერი ცა. ცაზე მოეჩვენა ვარსკვლავები და
შიშმა აიტანა. ნუ თუ დაღამდა კიდევ.

— მაგრამ რათა ვარ მე აქ? ჰო, მართლა! უნდა მოვძებ-
ნო ხიმარის ბეჭედი, რომელიც აზერიმმა მოიტაცა. მაგრამ

აიღო და წაიკითხა ზედ წარწერა! „მე ვეკუთვნი დიდებულს
და უძლეველ ხავს“.

— რაღაც უნდა დამიჯდეს, უეჭველად უნდა მოვნახო
ბეჭედი!—ფიქრობდა ილისს.—ის აქ უნდა იყოს, აზერიმის
ჩონჩხთან, მაგრამ რომელია აზერიმის ჩონჩხი?—მან კიდევ
იპოვა რამოდენიმე ნივთი, მაგრამ ის კი არა, რასაც ეძებდა-
დალონებული ჩამოჯდა ერთ ქვეზე და დაფიქრა.

— ილისს! სადა ხარ?—მოესმა ხმა მალლიდან.—იქნება
მოგკლეს შხამიანმა გველებმა?

სადა ხარ, ილისს? დაუჩქარე, ჩემო ნარგიზო! დრო მიჰ-
ქრის და შენი საქმრო მალე ფერფლად იქცევა მოლოხის
გულში! დაეშურე, ჩემო მტრედო!—უყვიროდა იაკინლუ.

— იყავ წყეული! ავო ყვავო!—კბილების კრაჭუნით მია-
ძახა ქალმა და განაგრძო ძებნა.

— ბეჭედი!—დაიყვირა მან და დასწვდა ასაღებად პატარა
სადა ოქროს რგოლს.

მწამს სიხარული ნაღველად ეცვალა, როდესაც ამოიკითხა
ზედ წარწერა: „იზა, კხიას მყულლე, ქალი ხივისა“.

გავიდა კიდევ ნახევარი საათი. ქალი გაცხარებული ედებდა, მაგრამ ბექელის მაგივრად სხვა ბევრ ნივთებს ჰპოულობდა.

— კიდევ ბექელი!—დაიძახა მან და აიღო ნივთი. მაზე არ იყო არავითარი წარწერა, მხოლოდ ორ მხარეს გამოხატული იყო ლომი და გველი. ქალს თითქოს ჩაქუჩი მოარტყეს საფეთქლებზე... ჩიტმა, რომელსაც ერქვა სახელად იმედი, დასკიკიკია:

— შენ იპოვე—დიდი ხანია იპოვე ხიმარის ბექელი! ლომი და გველი ემბლემაა ხიმარისა... სიბრძნის და ცოდნისა!.. ხიმარს ეძახოდნენ ძლიერ ლომს და ბრძენ გველს...

— იაკინლუ!—დაიძახა ქალმა.—იაკინლუ! მე ვიპოვე ბექელი! ამიყვანე, იაკინლუ! უნდა დაუჩქარო, რომ დავიხსნა ჩემი მირბალი! იაკინლუ!

მაგრამ ილისის ხმა არავის ესმოდა.

ის მიიჭრა თოკთან და წაავლო მას ხელი რომ ასულიყო მალა. თოკზე ნასკვები იყო და ამ ნასკვებზე ხან და ხან მას შეეძლო შესვენება. მან ჩაიღო უბეში ძვირფასი ნივთი და აცოცდა თოკზე.

გამოუთქმელ სიბნელეს შეადგენდა ქალისათვის ეს მოგზაურობა. ძალის დატანებისგან ღონე ელეოდა, გული საშინლად უძვებდა და ხელები უთრთოდა. კიდევ რამოდენიმე ნაბიჯი და ის მაღლწევდა იმ ალაგს, სადაც შეიძლება ცოტა შესვენებას, მაგრამ მან ერთი ნაბიჯიც ვეღარ წასდგა წინ. წყვეულ იაკინლუს თოკზე წაესვა ზეთი და მაზედ ხელს ვეღარ იმაგრებდა.

— იაკინლუ! გამცემო! მკვლელი!—ყვიროდა საბრალო ქალი.

ძალა გამოლევულმა და იმედ მიხდილმა საბრალო ქალმა მორთო ბავშვსავით ტირილი, უეცრად მას მოესმა რაღაც ხმაურობა.

— ილისს! აქა ხარ.—გაიგონა მან წყნარი ძახილი.

მე ვკვდები!—გაიფიქრა ქალმა.—სიკვდილის წინ მელანდება!.. ვბოდავ!

— ილისს! ილისს! ხმა გამეც, შვილო! გაიმეორა ხმა.

მან ვეღარ მოითმინა, ერთი შეშკივლა, დავარდა ძირს.—ფეხი წაჰკრა რალსაც. ეს იყო თავის ქალა, რომელიც გაგორდა, მიეჯახა ქვას და იქვე გაჩერდა.

— ნუ გეშინიან! მე მოველ შენს დასახსნელად! ნუ იყვირებ, თორემ დარაჯნი გაიგონებენ!..

— ვინა ხარ? ვინა ხარ შენ?—ხმის კანკალით ეკითხებოდა ქალი და აქეთ-იქით აშტერებდა შეშინებულ თვალებს.

— მე ისა ვარ, რომელსაც დავიწყებული აქვს თავის სახელი, მაგრამ შენ მიცნობ... მე ვარ განდევნილი კარმელის მთიდან.—შენი და მირბალის მეგობარი.—ნუ გეშინიან!..

— სადა ხარ? მე ვერა გხედავ!

— ეხლავ დამინახავ!

კიდევ გაისმა რაღაც ხრავუნი და იქაურობა გაანათა საიდუმლო ფარანმა.

ილისმა იცნო მოხუცი ქურუმი.

— წამიყვანე აქედან! გამანთავისუფლე?

ვიპოვე ხიმარის ბექელი!

— ხიმარის ბექელი?

— ჰო, ჰო! აი შეხედე! ზედ გამოხატულია ლომი და გველი! ხომ ის არის? გამიყვანე ჩქარა! უნდა მივასწრო. ვუშველო მირბალს.

— ნუ ჩქარობ, შვილო! საღამომდის ჯერ დიდი დროა.

— ის იტანჯება! წვალობს სასჯელის მოლოდინში.

— მე ვიყავ იქ და ვნახე შენი საქმრო. მართალია, ის იტანჯება, მაგრამ ის ვაჟკაცია, იმის ძარღვებში სდუნს ამაყი სისხლი ხიმარისა და ერთის წარბის შერხვევითაც არავის აგრძობინებს თავის მღელვარებას.

— რაღას მოუცადოთ?—ჰკითხა ქალმა.

— უნდა დავხოცო ფალესის მცველები და იაკინლუს ჯარი. წამომყევე! უთხრა მან და თან გაიყოლა ქალი. იმათ მიღწიეს ერთ დერეფანს საიდანაც მოსჩანდა სინათლე.

— ნუ გეშინიან. არ მიგატოვებ. მე შენ მიყვარხარ შვილსავით.

— განა დიდი ხანია მიცნობ?

— დიდი ხანია. შენ ვერც კი წარმოიდგენ. ეს იყო იმ დროს, როდესაც აზერიმმა დაჰლუბა თორმეტი ხუროთ-მოძღვარი... იმ დროს ტირის ქუჩებში დაძროდა კაცი, რომელსაც მოსაკლავად დასდევდნენ ძაღლებით აზერიმის მეძებრები. კაცი დატანჯული იყო სიმშლისა და დაღლილობისაგან. ერთ სახლის კარგებში მან დაინახა მოხუცი მონა, რომელიც ჰყიდა ქოთნებს. მის გვერდით იდგა ლამაზი ბავშვი. მგზავრმა სთხოვა მოხუცს წყალი და ერთი ლუკმა ჰური. ბავშვმა რა გაიგონა ეს—მაშინვე შევიდა სახლში და ყველაფერი გამოუტანა მგზავრს. ეს მოხუცი იყო მამა-შენის, მატჩანის მონა, მგზავრი ვიყავი მე და ის ბავშვი—შენ. გახსოვს ეს ამბავი, ილისს?

— ოხ, ღმერთებო!—დაიყვირა ილისმა, რომელსაც ცხადად წარმოუდგა თვალწინ ეს სურათი.—დაიხ, ის მე ვა... და შენ?

— მე რაზამი ვარ... ერთი იმ ხუროთ-მოძღვართაგანი... ეხლა ჩემი სახელი შურისძიებაა... წამოდი ჩემთან!.. ნუ გეშინიან... მე გაგიყვან აქედან.

ისინი მივიდნენ ერთ ჩამონგრეულ ადგილთან, საიდანაც სინათლე შემოდოდა. აქედან მოსჩანდა იაკინლუს ჯარი, რომელიც თამაშით—იქცევდა თავს.

მოხუცმა ქალი მოშორებით დასვა და უთხრა ჩუმად ყოფილიყო, თითონ კი მოშორდა და სადღაც წავიდა.

დარაჯებს თამაშის დროს ჩხუბი მოუვიდათ და დაუწყეს ცემა ერთმანეთს, მაგრამ მალე ისევ დაწყნარდნენ, მოიტანეს ღვინო და დაიწყეს სმა. სვამდნენ და თანაც ლაზღანდარობდნენ. ამ დროს მოესმათ ვიღაცას ძახილი. თავი მალა ასწიეს და დაინახეს ერთ მწვერვალ ქვაზე მოჩვენება.

— მოჩვენება! მოჩვენება!

— ვაი თქვენ! ფალესის ყვავებო!

— ყვიროდა მოჩვენება და გამხდარი ხელები წამოეწია ამათკენ.—მოაღწია თქვენი დამხობის საათმა! სიკვდილი შავის ფრთებით მოფრინავს თქვენსკენ კარმელის მთიდან! დაგლუპავს! მიწასთან გაგასწორებს თქვენ ქვემძრომნო! მსახურნო ლოთი ფალესისა და ფიცის გამტეხ იაკინლუს.

ამ დროს, თითქოს მიწა ინძრავდა ერთი ნაწილი გოდოლისა გადმოინგრა. აუარებელი გროვა ცეცხლ-მოკიდებული ქვებისა წამოვიდა ძირს და ქვეშ-მოიტანა იაკინლუს მხლებლები. ილისმა დაინახა ეს საზარელი სურათი და თვალებზე ხელებ მიფარებული გაშეშდა ერთ ადგილს.

ერთი წამის შემდეგ ქურუმმა გამოიყვანა ქალი ამ საშინელ მდგომარეობისაგან.

— აქა ხარ, ჩემო შვილო?

— აქა ვარ! წამიყვანე ჩქარა აქედან.

— დაწყნარდი! ნუ გეშინიან! გოდოლი ჯერ სულ არ დანგრეულა. მხოლოდ ერთი ნაწილი ჩამოინგრა, რომელმაც გასრისა იაკინლუს მხლობლები.

— თითონ იაკინლუ სადღაა?

— ის ჯერ-ჯერობით გადარჩა, მაგრამ დიდხანს არც იმას გავახარებ.

— წამიყვანე აქედან!

— ნუ ჩქარობ! იანკილუს დატოვება შეუძლებელია. ჩვენ კიდევ მივასწრებთ—სანამ მაზე ჩავიდოდეს. ტაძარი სავსეა ჩემი მეგობრებით და ისინი არ მისცემენ ნებას მირბალის დასჯისას.

ილისს დაეთანხმა მოხუცს და ისინი გაშორდნენ გოდოლს. როდესაც უკან მოიხედეს, ის ადგილი, სადაც თოკი იყო მიბმული ჩამონგრეულიყო, მალა შერჩენილიყო მხოლოდ პატარა ყორე, შვიდი-რვა საყენის სიმაღლეზე. ამ ყორეზედ იმათ დაინახეს ადამიანი, რომელიც უმწეოდ ქანაობდა და არ იცოდა როგორ დაეხწია იქიდან თავი. ეს იყო იაკინლუ.

(დასასრული იქნება).

ეფ. მესხი.

